

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute



ნოემბერი

2023



## ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

### აკტორი:

ერეკლე შუბითიძე  
უფროსი მკვლევარი

✉ [erekle.shubitidze@iset.ge](mailto:erekle.shubitidze@iset.ge)

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის ნოემბერში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 11%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 4%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 8%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 5%-ით გაიზარდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 30 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის ნოემბრისთვის სრული წარმოების 3% და მოხმარების 3%-ია.
- ოქტომბერში განხორციელდა 80.6 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- ოქტომბერში განხორციელდა 0.157 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი რუსეთი იყო.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო.
- იმპორტის ფასი 0.14 ცენტი, ან 0.37 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 6.5 ცენტი, ან 17.6 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის ნოემბერში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ჩამოსცდა და ინდექსის მნიშვნელობა 2,129 -ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის ნოემბერში ინდექსის მნიშვნელობამ 2,280 შეადგინა.

## შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰესი	ჰიდროელექტროსადგური
თესი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია
ეპ ჯორჯია	ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ესკო	ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი


### წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის ნოემბერში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,003 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 11%-იან კლებას წარმოადგენს (2022 წლის ნოემბერში სრული წარმოება 1,131 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური კლება თბოელექტროსადგურების (-27%) და ქარის (-13) სადგურების გამომუშავების კლებამ განაპირობა, მაშინ როცა ჰიდროელექტროსადგურების (+1%) გამომუშავება გაიზარდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 4%-ით შემცირდა (2023 წლის ოქტომბერში სრული წარმოება 1,043 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე შემცირება თბო (-15%) და ქარის (-10%) სადგურების გამომუშავების შემცირებამ გამოიწვია, მაშინ როცა ჰიდროელექტროსადგურების (+4%) გამომუშავება გაიზარდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,034 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (8%-ით ნაკლები 2022 წლის ნოემბერთან შედარებით და 5%-ით მეტი 2023 წლის ოქტომბერთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის ნოემბერში ენერჯის მოხმარებამ წარმოებას 30 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 3%-სა და სრული მოხმარების 3%-ს შეადგენდა (2022 წლის ნოემბერში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 6 მილიონი კილოვატსაათიანი სიჭარბე შეადგინა, რაც თვის განმავლობაში, როგორც სრული წარმოების, ასევე, სრული მოხმარების დაახლოებით 1%-ს გაუტოლდა).


**დიაგრამა 1** - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის ნოემბერში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 633 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 63.1%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 364 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 36.2%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 6 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.6%) (დიაგრამა 2).


**დიაგრამა 2** - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 39.6% გამოიმუშავა (251 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 46.6% (295 მილიონი კილოვატსაათი) და 13.8% (88 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3** - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით




წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 116 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 32% და ჯამური გამომუშავების 11.6%), გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 130 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 35.6% და ჯამური გამომუშავების 12.9%), მტკვარი თესმა გამოიმუშავა

117 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 32.2% და ჯამური გამომუშავების 11.7%), ხოლო აირტურბინამ გამოიმუშავა 0.4 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 0.1% და ჯამური გამომუშავების 0.04%), (დიაგრამა 4).


**დიაგრამა 4** - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 38 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 15.1% და სრული წარმოების 14.7%). ენგურჰესმა 147 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 58.7%-ს და სრული წარმოების 3.8%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


**დიაგრამა 5** - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის ნოემბერთან შედარებით 11%-ით შემცირდა (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6** - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო


ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია<sup>1</sup> (35% – 357 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (20% – 222 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო<sup>2</sup> (24% – 251 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მოხმარებლები (21% – 202 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა აფხაზეთისგან, თელასი/თელმიკოსგან და პირდაპირი მოხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 9%-ით, 27%-ით და 0.04%-ით, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 0.7%-ით გაიზარდა, 2022 წლის ნოემბერთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის ნოემბერში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 8%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის ნოემბრის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

<sup>1</sup> ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.

<sup>2</sup> 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები


გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

**დიაგრამა 7** - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 8** - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)



წყარო: ესკო

2023 წლის ნოემბერში საქართველოში 80.6 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა (2022 წლის ნოემბერში 55.2 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 9). იმპორტის თითქმის 100% შემოვიდა რუსეთიდან და უმნიშვნელო ნაწილი შემოვიდა აზერბაიჯანიდან (2022 წლის ნოემბერში იმპორტის

თითქმის 96.9% რუსეთიდან შემოვიდა, ხოლო 0.2% შემოვიდა აზერბაიჯანიდან და 0.2% სომხეთიდან). 2023 წლის ნოემბერში საქართველოდან განხორციელდა 0.157 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი (2022 წლის ნოემბერში ექსპორტი არ განხორციელებულა) (დიაგრამა 10). 2023 წლის ნოემბერში 386 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2022 წლის ნოემბერში განხორციელდა 432 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 72 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი სომხეთიდან თურქეთში).


2023 წლის ნოემბერში იმპორტი შემცირდა 46%-ით 2022 წლის ნოემბერთან შედარებით.

**დიაგრამა 9** - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 10** - ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ესკო




2023 წლის ნოემბერში იმპორტი გაიზარდა 5756-ჯერ 2023 წლის ოქტომბერთან შედარებით (დიაგრამა 11). 2023 წლის ოქტომბერში ექსპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ თვიური ტრენდს ვერ შევაფასებთ (დიაგრამა 12).

**დიაგრამა 11** - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

**დიაგრამა 12** - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

## 1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის ნოემბერში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 84% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 16% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


**დიაგრამა 13** - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის ნოემბერში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 14.9 თეთრი კილოვატსაათზე, რაც 3.3%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2022 წლის ნოემბერთან შედარებით (დიაგრამა 14).


**დიაგრამა 14** - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის ნოემბერში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 13.75 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის ნოემბრის მონაცემზე 9%-ით ნაკლებია (დიაგრამა 15).


**დიაგრამა 15** - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის ნოემბერში, იმპორტის ფასები 0.14 ცენტი, ან 0.37 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 61%-იან, ხოლო ლარში - 61%-იან კლებას (2022 წლის ნოემბერში ფასები 0.35 ცენტი, ან 0.97 თეთრი იყო კილოვატსაათზე). 2023 წლის ოქტომბერში, იმპორტის ფასები 1.71 ცენტი, ან 4.61 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 92%-იან, ხოლო ლარში - 92%-იან თვითურ კლებას. 2023 წლის ოქტომბერში, ისევე როგორც 2022 წლის ნოემბერში ელექტროენერჯის ექსპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ თვითურ და წლიურ ტრენდს ვერ შევაფასებთ.

**დიაგრამა 16** - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ესკო

2023 წლის ნოემბერში, აზერბაიჯანიდან ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 1.57 ცენტს, ან 4.25 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, ხოლო რუსეთიდან 0.1 ცენტს, ან 0.37 თეთრს კილოვატსაათზე (დიაგრამა 17).


**დიაგრამა 17** - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის ნოემბერში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 6.5 ცენტს ან 17.6 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 18).

**დიაგრამა 18** - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

## 2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის ნოემბერში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ ჩამოვიდა და HHI ინდექსი 2,129 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის ნოემბრის მონაცემზე (HHI 2,609 ერთეული) დაბალი და 2023 წლის ოქტომბრის მაჩვენებელზე (HHI 3,293 ერთეული) დაბალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის ნოემბერში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,280 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის ნოემბრის მაჩვენებელზე (2,023) მაღალი და 2023 წლის ოქტომბრის მაჩვენებელზე (2,254) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

**დიაგრამა 19** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

**დიაგრამა 20** - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო